საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის სამინისტრო
MINISTRY OF CORRECTIONS OF GEORGIA

MCLA 4 14 00634074

13/11/2014

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის დირექტორს,
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

გიგზავნით თქვენი, 2014 წლის 07 ნოემბრის №612968 წერილით მოთხოვნილ ინფორმაციას:

- სისტემის ორგანოდან დათხოვნილი თანამშრომლების რაოდენობა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით:

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის - 101
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის - 10
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის - 1
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის - 1
სსიპ - არასაპატიმრო სასჯელათა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სააგენტო - 2
სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის - 1

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 116 თანამშრომელი იქნა დათხოვნილი სისტემის ორგანოდან, აქედან 32 წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყორიბის ფაქტზე, (რომელიც მოხდა 2012 წლის ოქტომბრამდე) რაზედაც სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ შედგენილი იქნა შესაბამისი დასკვნა და სამსახურებრივი შემოწმების მასალებთან ერთად გადაიგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში.

- წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, აგრეთვე წამებისა და მუქარის შემცველი შინაარსის საჩივარ/განცადებების რაოდენობას 2012

0186, ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №3
3 Sandro Euli Str., Tbilisi, 0186, Georgia, www.moc.gov.ge
ტელ./Tel.: (+995 32) 2312734, ფაქსი/Fax: (+995 32) 2311901

წლის 20 ოქტომბრიდან 2013 წლის პირველ პერიოდამდე შემოსული იყო დაახლოებით 1000-მდე საჩივარ/განცხადება (სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან), რაზედაც ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება და 200-მდე საჩივარ/განცხადება, სადაც გამოიკვეთა სავარაუდო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები გადაგზავნილი იქნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში (სისტემის იმ თანამშრომლებზე რომლებიც აღარ მუშაობდნენ სისტემაში და გენერალური ინსპექცია მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა მათი დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხზე).

პატივიცემით,

ნანა ბღარაშვილი

საჯარო ინფორმაციის გაცემის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი